

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის,  
ტურიზმის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის

2016 წლის ანგარიში

შესავალი

სამსახურის ძირითადი პრიორიტეტია სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლება. მასობრივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალგაზრდებში. არსებული ტურისტული პოტენციალის გაზიარება და პოპულარიზაცია.

აღნიშნული მიმართულებით 2016 წელს განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლის ვრცელი და სრული მიმოხილვა იქნა მომზადებული, მანამდე კი წარმოგიდგინთ მოკლე სურათს ჩატარებული აქტივობების:

**განათლება:**

- ✚ ხელვაჩაურის სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებაში დაიწყო სასკოლო მზაობის პროგრამა, რომლისთვისაც გადამზადებული იქნა ყველა ბაღის მეთოდისტი; რემონტი ჩატარდა არსებულ 4 საბავშვო ბაღს; გაიხსნა 3 ახალი საბავშვო ბაღი; გარემონტდა 4 ახალი ბაღი;
- ✚ განხორციელდა პროექტი: „გამგებელი სკოლაში“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით მოეწყო 8 შეხვედრა;
- ✚ ხელვაჩაურის საჯარო სკოლის პედაგოგთა შორის ჩატარდა კონცერენცია „ინოვაციები სასწავლო პრაქტიკაში“; განხორციელდა 4 სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით შევსება;

**სპორტი:**

- ✚ გარდა არსებული ღონისძიებებისა წელს პირველად დაიწყო სპორტული ღონისძიებები სოფლად: „სპორტი ჩვენ გვაერთიანებს“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 9 ღონისძიება;
- ✚ დაინერგა ჭადრაკის სახეობა საბავშვო ბაღის 5-6 წლიან ჯგუფში, რომლის ფარგლებშიც აღსაზრდელებმა მოხალისე პედაგოგების მეშვეობით ფიგურების ცნობა და სწორად განლაგება შეისწავლეს.
- ✚ გარემონტდა 4 სასოფლო სპორტული მოედანი და 1 ჭიდაობის დარბაზი;

**კულტურა და ტურიზმი:**

- ✚ ლაზური ფოლკლორის შენარჩუნების მიზნით სარფში ჩამოყალიბდა ფოლკლორული ანსამბლი „კოლხა“; ყველა სასოფლო კლუბისათვის შეძენილი იქნა მუსიკალური ინსტრუმენტები;
- ✚ ტრადიციული და დამკვიდრებული ღონისძიებების გარდა ყველა სასოფლო კლუბში ჩატარდა ფოლკლორული ღონისძიებები;
- ✚ გარემონტდა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი, ასევე ჩიქუნეთისა და ქედქედის კლუბები;
- ✚ ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო სოფ. მირვეთში, ასევე ამოქმედდა მაჭახელას კულტურულ - ტურისტული მარშრუტი, რომელშიც ჩართული იყო ადგილობრივი ანსამბლები;

**ახალგაზრდობის ცენტრი და ღია სივრცე „ქალთა ოთახი“:**


- ✚ ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის? 23 შეხვედრა“;
- ✚ ახალგაზრდობის ცენტრის ბიბლიოთეკით ყოველთვიურად 420-მდე ახალგაზრდა სარგებლობს;

- ✚ კითხის კლუბში განხილული იქნა 14 ნაწარმოები, ჩატარდა „ლიტერატურული ვიქტორინა“.
- ✚ კინო კლუბში განხორციელდა 9 ფილმის ჩვენება და განხილვა;
- ✚ არაფორმალური განათლების მხრივ ჩატარდა: 14 ტრენინგი; მოეწყო გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები.
- ✚ არტკლუბის ფარგლებში სამი თვის განმავლობაში შეისწავლებოდა ხელსაქმე.
- ✚ მოეწყო 12 საჯარო ლექცია - სემინარი; მოეწყო შშმ პირების მშობლებთან შეხვედრა.
- ✚ ახალგაზრდების ჩართულობით დაიდგა სპეკტაკლი „გველისმჭამელი“.
- ✚ ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ველომარათონი. სწრაფი ბეჭდვის კონკურსი.
- ✚ ივნისის თვეში მუნიციპალიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ შორის გაფორმებული მემომარდუმის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი ღია სივრცე „ქალთა ოთახი“, სხვადასხვა მომსახურების მისაღებად იმყოფებოდა 570 ვიზიტორი და ჩატარდა 48 შეხვედრა.

გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2016 წელს დაუმტკიცდა შემდეგი პროგრამები, რომლის შესრულებაც ასე გამოიყურება:

№	ღონისძიების დასახელება	სულ გეგმა	შესრულება	% მაჩვენებელი
1	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	101000,0	100 969	100%
2	კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება	66000,0	66000,0	100%
3	ახალგაზრდული ღონისძიების დაფინანსება	40000,0	40000,0	100%
4	სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა	35000,0	34965,0	100%
	სულ	242000,0	241934,0	

### ჩატარებული ღონისძიებები



## ჩატარებული მუშაობა სფეროების მიხედვით

### სპორტული ღონისძიებები

**13 იანვარი ოთხშაბათი 11 საათი** - გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ხელვაჩაურის საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებთან შეხვედრა და დაიგეგმა 2016 წლის მოსწავლეთა 26-ე სპორტული და „სპორტი ჩვენ გვაერთიანებს“ თამაშები : შერჩეული იქნა შეჯიბრების ჩატარების დრო, ადგილი და მთავარი მსაჯები. შედგენილი იქნა თამაშების კალენდარი.

**12-14 თებერვალი** - მახინჯაურის საჯარო სკოლაში სტარტი აიღო მუნიციპალიტეტის 2016წლის 26-ე სპორტულმა თამაშებმა. შეჯიბრება ჩატარდა ჭადრაკში, სადაც 13 სკოლის 65 მოსწავლე მონაწილეობდა. I ადგილზე გავიდა თხილნარის №1 საჯარო სკოლა; II ადგილზე ზედა ახალშენის საჯარო სკოლა; III ადგილზე ახალსოფლის საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

**19 თებერვალი** - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტული თამაშები „სპორტი ჩვენ გვაერთიანებს“ კალათბურთში ( ვაჟები- ასაკი 2000-2002წწ ). შეჯიბრებაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლა. I ადგილზე გავიდა თხილნარის №1 საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს მუნიციპალიტეტიდან გადაეცათ „მაკდონალდსის“ ვაუჩერები.

**21 თებერვალი** - ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა 2016 წლის 26 -ე სპორტული თამაშების მორიგი ეტაპი. მაგიდის ჩოგბურთში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლის 90 მოსწავლე. ადგილები ასე განაწილდა I ადგილი - ჩიქუნეთის საჯარო სკოლა; II ადგილი ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა; III ადგილი თხილნარის №1 საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

**28 თებერვალი** - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა 2016 წლის მოსწავლეთა 26 -ე სპორტული თამაშების მორიგი შეჯიბრების ფინალური შეხვედრები ფრენბურთში, შეჯიბრში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლის 140 მოსწავლე. ადგილები ასე განაწილდა I ადგილი ჭარნალის საჯარო სკოლა; II ადგილი - ჩიქუნეთის საჯარო სკოლა; III ადგილი - წინსვლის საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

**13 მარტი** - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში გაიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 მოსწავლეთა 26 სპორტული თამაშების მორიგი შეხვედრა ფრენბურთში გოგონათა შორის . სულ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ცხრა საჯარო სკოლის 90 მოსწავლე. I ადგილზე გავიდა ჭარნალის საჯარო სკოლა, II ადგილზე - სარფის საჯარო სკოლა , III ადგილზე - ფერიის საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

**15 მარტი** - ჭარნალის საჯარო სკოლაში ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წ. სპორტული თამაშები (ასაკი 2000-2002წწ ) სპორტი ჩვენ გვაერთიანებს ფრენბურთში (გოგონები, ვაჟები ). ორივე შეჯიბრში I ადგილზე გავიდა ჭარნალის საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ „მაკდონალდსის“ ვაუჩერები.

**27 მარტი 12:30 საათი** - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა 26-ე სპორტული თამაშების ფინალური შეხვედრა კალათბურთში (ვაჟები). სულ მონაწილეობდა 16 სკოლის 160 მოსწავლე. ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი - თხილნარის №1 საჯარო სკოლა; II ადგილი - ხელვაჩაურის № 1 საჯარო სკოლა ; III ადგილი ერგეს საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

**30 მარტი** - მოეწყო შეხვედრა სპორტსმენებთან სამი თვის განმავლობაში მიღწეული შედეგების მიხედვით.

**6 აპრილი 12:00 საათი** - სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები: 1) 5 -6 აპრილს მუნიციპალიტეტის მიმდებარედ გაიმართა 2016 წლის სპორტული

თამაშები ძალოსნობაში ( გოგოები, ვაჟები ) სულ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლის 70 მოსწავლე.

**15 აპილი 15:00 საათი** - ჩიქუნეთის საჯარო სკოლაში ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016წ. სპორტული თამაშები (ასაკი 2000-2002წწ) „სპორტი ჩვენ გვაერთიანებს“ - მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილი - ჩიქუნეთის საჯარო სკოლა; II ადგილი - სალიბაურის საჯარო სკოლა; III ადგილი - ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა. გამარჯვებულს გადაეცათ „მაგდონალდის“ ვაუჩერები.

**24 აპრილი 13:00 საათი** - სარფის სპორტულ მოედანზე ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წ.მოსწავლეთა 26 სპორტული თამაშების ფინალური შეხვედრები მინი-ფეხბურთში . I ადგილი- თბილნარის №1 საჯარო სკოლა. II ადგილი - ფერიის საჯარო სკოლა, III ადგილი- ჭარნალის საჯარო სკოლა.გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, მედლები და სიგელები.

**10-11 მაისი** - ახლსოფლის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016წ. მოსწავლეთა მორიგი სპორტული თამაშები თავისუფალ ჭიდაობაში .სულ მონაწილეობდა 5 საჯარო სკოლის 50 მოსწავლე. I ადგილი -ჭარნალის საჯარო სკოლა; II ადგილი - თბილნარის საჯარო სკოლა;III ადგილი- ახალშენის №1 საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები,მედლები და სიგელები.

**17 მაისი 12: 00 საათი** - ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016წ. სპორტული თამაშები (ასაკი 2000-2002წწ) „ სპორტი ჩვენ გვაერთიანებს “ გეზრბენში მონაწილეობდნენ აჭარის აღმართისა და ქედქედის საჯარო სკოლის მოსწავლეები მოზარდებმა „მაჭახლისთოფის“ ტერიტორიიდან რესტორან „ჩვენებურებამდე“ მანძილი გეზრბენით დაფარეს. გამარჯვება ქედქედის საჯაროსკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს. გამარჯვებული გუნდი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა „მაგდონალდში“ დაპატიჟა.

**18 მაისი 12:00 საათი** -სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში წარმატებულ სპორტსმენებთან და ამავე სკოლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრა გაიმართა.

**19-20 მაისი** - ახალსოფლის საჭიდაო დარბაზში ჩატარდახელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წ . მოსწავლეთა 26 სპორტული თამაშები-ბ/რომაული ჭიდაობაში სულ მონაწილეობდა10 საჯარო სკოლის 100 მოსწავლე. ადგილები ასე გადანაწილდა I ადგილი- ქვ.ახალშენი საჯარო სკოლა; II ადგილი- ახალშენის № 1; III ადგილი მახოს საჯარო სკოლა.

**24 მაისი 13:00 საათი-** ფერიის სპორტულ მოედანზე ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წ. მოსწავლეთა სპორტული თამაშები. ასაკი (2000 – 2002 წწ ) „ სპორტი ჩვენ გვაერთიანებს “ - მინი ფეხბურთი განთიადის, ფერიის და ახალშენის № 1 საჯარო სკოლებს შორის.გამარჯვებულ ახალშენის №1 საჯარო სკოლის გუნდი დასაჩუქრდა „მაგდონალდის“ ვაუჩერებით .

**2 ივნისი 11:00 საათი** - კირნათის საჯარო სკოლაში ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წ . მოსწავლეთა სპორტული თამაშები ( ასაკი 2000-2006წწ) „სპორტი ჩვენ გვაერთიანებს“- სტარტიდან ფინიშამდე . მონაწილეობდა კირნათის, აჭარისწყლის,მარადიდის საჯარო სკოლის მოსწავლეები.I ადგილი - კირნათი საჯარო სკოლა; II ადგილი - მარადიდის საჯარო სკოლა;III ადგილი - აჭარისწყლის საჯარო სკოლა. გამარჯვებულს მუნიციპალიტეტისგან გადაეცა „ მაგდონალდის“ ვაუჩერები.

**3-5 ივნისი** - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა მსოფლიო სტუდენტური უნივერსიადის ჩემპიონის, სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილის ,საქართველოს და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი გენადი ჩხაიძის

სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის 10 წონით კატეგორიაში. ტურნირში 120-მდე მოჭიდავე მონაწილეობდა. გამოვლინდა 10- I; ადგილი 10-II ადგილი; 10- III ადგილი; გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, მედლები და სიგელები; მე-2 და მე-3 ადგილზე გასულ სპორტსმენებს მედლები და სიგელები.

**9 ივნისი 12:00 საათი-** ჩაისუბნის საჯარო სკოლაში ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წ. მოსწავლეთა სპორტული თამაშები ( ასაკი 2000-2006წწ) „სპორტი ჩვენ გვაერთიანებს“- სტარტიდან ფინიშამდე . მონაწილეობდნენ ჩაისუბნის, წინსვლის, ზედა წინსვლის, ყოროლისთავის და კაპრემუმის საჯარო სკოლების მოსწავლეები. გამარჯვებულ წინსვლის საჯარო სკოლას მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად გადაეცათ "მაგდონალდისის " ვაუჩერები.

**19 ივნისი -** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალსოფლის მოედანზე ფეხბურთში ომარ ბოლქვაძის და ზურაბ ხაბაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირის ფინალური შეხვედრა გაიმართა. ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ გამარჯვებულ და პრიზიორ გუნდებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ. ჩემპიონატი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით ჩატარდა. ომარ ბოლქვაძე წლების განმავლობაში, აჭარის განათლების სამინისტროს სპორტის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 80-იან წლებში კი, ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის დირექტორი იყო.

**23 ივნისი -** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასპორტო სკოლის დარბაზში მოსწავლეთა 26-ე სპორტული თამაშების გამარჯვებული საჯარო სკოლების ხუთეულის ( ჭარნალის საჯარო სკოლის, თხილნარის N1 საჯარო სკოლის; ხელვაჩაურის N1 საჯარო სკოლის ; ახალშენის N1 საჯარო სკოლის; ფერიის საჯარო სკოლის) ფიზიკური აღზრდის პედაგოგების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, აგრეთვე ბავშვთა ფეხბურთის გუნდის და ძიუდოისტების გადაეცათ სპორტული ინვენტარი.

**11 ივლისი 12:00 საათი-** "ღია პირველობა ძიუდოში" ქალთა შორის და დასრულდა 12 ივლისს. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და პოლონეთიდან 80 -მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. გამარჯვებულებს დიპლომები და მედლები გადაეცათ. ტურნირი მეოთხე წელია იმართება.

**25 ივლისს** დაჯილდოება მოხდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სპორტსმენები და პირადი მწვრთნელების 2016 წლის იანვრიდან- ივლისის ჩათვლით მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისათვის წახალისება მოხდა ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით. სულ დაჯილდოვდა 38 კაცი საერთო თანხამ შეადგინა 9165 ლარი.

**23-24 აგვისტოს** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის სპორტულ ბარბაზში გაიმართა ხელვაჩაურის ღია პირველობა ფრემბურთში ვეტერან სპორტსმენთა შორის შედეგები ასე გადანაწილდა 1) სპ.სკოლა 2) ხელვაჩაური 3) ახალშენი 4) ჩაისუბანი.

**02 სექტემბერი -** ოზურგეთში გაიმართა საქართველოს 2016 წლის XVIII ჩემპიონატის მეორე ლიგის დასავლეთ „ბ“ ჯგუფის „მაჭახელას“ თამაშები „მაჭახელა“ - „მერცხალი“(წაგება 0-3)

**07 სექტემბერი -** მარტვილში გაიმართა საქართველოს 2016 წლის XVIII ჩემპიონატის მეორე ლიგის დასავლეთ „ბ“ ჯგუფის „მაჭახელას“ თამაშები „მაჭახელა“- „სალხინო“ (მოიგეს 1-0)

**19 სექტემბერი -** ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში გაიმართება შეხვედრა სალომე მელიასთან რომელიც გახლავთ ჭადრაკში ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, გაიმართა ერთობლივი თამაში ჭადრაკით დაინტერესებულ 2003 2004 2005 წლებში დაბადებულ

მოსწავლეებთან. ყველა მონაწილე მოსწავლე დასაჩუქრდა ხელვაჩაურის გამგეობისგან პრიზით დელფინარიუმში წაყვანით.(გასვლა 22.09.16)

**20 სექტემბერი** - ქედამი გაიმართება საქართველოს 2016 წლის XVIII ჩემპიონატის მეორე ლიგის დასავლეთ „ბ“ ჯგუფის „მაჭახელას“ თამაშები. „მაჭახელა“- „ბეთლემი“ (წაგება 0-4)

**24-27 სექტემბერი** - 24 სექტემბერს ახალშენის სტადიონზე დაიწყო აფხაზეთში დაღუპული მფრინავის ზებურ ბოლქვადის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა მინი-ფეხბურთში და 27 სექტემბერს დასრულდა, რომელშიც 6 გუნდი ღებულობდა მონაწილეობას. გამარჯვებულებს სიგელები მედლები და თასები გადაეცათ. ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის საფლავი ყვავილებით შეამკეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და საკრებულოს წევრებმა. ზებურ ბოლქვადის ოჯახს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა ფინანსური დახმარების სახით 400 ლარი გადასცა.

**29 სექტემბერს** გაიმართება საქართველოს 2016 წლის XVIII ჩემპიონატის მეორე ლიგის დასავლეთ „ბ“ ჯგუფის „მაჭახელას“ თამაშები. „მაჭახელა“- ჩელა-დარჩელი.

**21-22 ოქტომბერი** - ძალოსნობაში ქაზიმ ქავთარაძის სახელობის ხელვაჩაურის ღია პირველობა გაიმართა. მასში სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 70 სპორტსმენი მონაწილეობდა. გამარჯვებულს პორტსმენებს სიგელები, მედლები და თასები გადაეცათ. პირველი ადგილი ხელვაჩაურის, მეორე ადგილი თბილნარის და მესამე ადგილი ჭარნალის გუნდებმა გაინაწილეს.

**24-27 ოქტომბერი** -ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა ავღანეთში გმირულად დაღუპული მინდია აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა მინი-ფეხბურთში. ტურნირში მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლის ახალგაზრდები მონაწილეობენ. პირველი ადგილი ხელვაჩაურის საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა. გამარჯვებულები სიგელებით, მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

**1 ნოემბერი** - სასპორტო სკოლაში ჩატარდა ხელვაჩაურის ღია პირველობა ფრენბურთში პედაგოგებს შორის. პირველი ადგილი ხელვაჩაურის, მეორე ქედის, მესამე კი ბათუმის ნაკრებმა გუნდმა დაიკავა. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და სიგელები.

**18-20 ნოემბერი** - ახალსოფლის სპორტსკოლაში ჩატარდა ცნობილი ქართველი მოჭიდავისა და მწვრთნელის ზიგფრიდ ჩხაიძის სახელობის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ქობულეთის და ბაღდათის სპორტსმენები 16 წონით კატეგორიაში. გამარჯვებულებს ზიგფრიდ ჩხაიძის სახელობის თასები და სიგელები გადაეცათ.

**25-27 ნოემბერი** -ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრში გაიმართა აჭარის სასკოლო ოლიმპიადა მინი -ფეხბურთში (ვაჟები). რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდმა.

**02-04 დეკემბერი** - ჩატარდა აჭარის სასკოლო ოლიმპიადა კალათბურთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდი.

**19-21 დეკემბერი** - ჩატარდა ანზორ და თენგი ფერცელიძეების სახელობის ხელვაჩაურის ღია პირველობა მინი ფეხბურთში, რომელიც გაიმართა ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში. ფინალი გაიმართა 14:00 საათზე, გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები პირველი ადგილი ახალსოფლის საჯარო სკოლის გუნდი, მეორე ადგილი გონიოს სპ. სკოლა, მესამე ადგილი ხელვაჩაურის სპ. სკოლა.

**20 დეკემბერი** - ახალსოფლის საბავშვო ბაღში ჭადრაკში გასართობ-შემეცნებითი ტურნირის ფინალური შეხვედრა გაიმართა. მასში მონაწილეობას ღებულობდა ხელვაჩაურში მოქმედი საბავშვო ბაღის 24 აღსაზრდელი. ღონისძიებას აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან მუხაშარია ესწრებოდა. გამარჯვება აჭარისწყლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა: ლუკა კობინაძემ და ანა-მარია მსხალაძემ მოიპოვეს. ტურნირის მონაწილე 24-ვე აღსაზრდელმა საჩუქრად „მაგდონალდის“ ვაუჩერი და სიგელი მიიღეს.

**22-25 დეკემბერი** - მუნიციპალიტეტის სპორტსკოლაში მშვილდოსნობაში ევროპის ჩემპიონების ხათუნა ნარიმანიძისა და ასმათ დიასამიძის სახელობის მესამე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. სასპორტო სკოლაში შეჯიბრებაში სომეხი და თურქი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. პირველი ადგილი შერეულწყვილში ნიკუშა თავდგირიძემ, მეორე ადგილი გუნდურში ირა არჯევანიძემ, ანადუმბაძემ და ციკო ფუტყარაძემ მოიპოვა. გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები, სიგელები და მედლები გადაეცათ.

**29 დეკემბერი** - ხელვაჩაურის გამგეობამ კირნათის, მარადიდის, ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის, ქედქედის, აჭარიაღმართისა და ჩაისუბნის საჯარო სკოლებისათვის შეიძინა სპორტული ინვენტარი და სკოლებს გადაეცათ საჩუქრად.

## **კულტურული ღონისძიებები**

**14 იანვარი ხუთშაბათი 12 საათი** - მოეწყო მახინჯაურის შპს "ბავშვთა სავანე"-ში გასვლა, შობა-ახალი წლის მილოცვა: შეძენილი იქნა 320 ლარის საკანცელარიო ნივთები და საბავშვო ლიტერატურა. სამშენებლო კომპანია „ერა-ჯგუფი“-ს მიერ დაფინსებული იქნა ელექტრო ზეთის ღუმელი თახით 200 ლარი. აგრეთვე ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის თოჯინების თეატრმა ბავშვებს წარმოუდგინა ზღაპარი „სამი გოჭი“.

**22 იანვარი 14 საათი** - მოეწყო სარფის დედათა მონასტერში გასვლა. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა და შპს „ხელვაჩაურის პურის სახის“ მიერ გადაცემული იქნა საკვები პროდუქტები და ტკბილეული.

**08 თებერვალი 14 საათი** - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება დავით აღმაშენებლის დღესთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილნარის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და მოსწავლეები, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, კულტურის სახლის ფოლკლორული ანსამბლი „ათძალი“ და კულტურის სხვა მუშაკები. ბავშვებმა წაიკითხეს დავით აღმაშენებელზე მიძღვნილი სხვადასხვა პოეტების ლექსები, ბიოგრაფიული ცნობები, ანსამბლმა „ათძალი“ შეასრულა სიმღერები და საგალობელი.

**25 თებერვალი** - მუნიციპალიტეტის ეზოში გაიხსნა რეპრესირებულთა ხსოვნის მემორიალი და ჩატარდა ღონისძიება, სადაც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი, მოწვეული იყვნენ საპატიო სტუმრები, 1937-38 წლებში უკანონოდ რეპრესირებულთა სამარხების მოძიებაში მონაწილე კომისიის წევრები, რომლებსაც გადაეცათ საპატიო სიგელები რამაზ სურმანიძეს- ბათუმის საკრებულოს წევრი; ვიდადი ახუნდოვს- აზერბაიჯანის სათვისტომოს ხელმძღვანელი; ემილ კრუპნიკს - ებრელთა სათვისტომოს ხელმძღვანელი.

**3 მარტი** - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში გაიმართა დედისა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც დაჯილდოვდა საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით მუნიციპალიტეტის დავაწმოსილი ქალბატონი ჟუჟუნა მალაყმაძე. ფასიანი საჩუქრები გადაეცათ 73 ქალბატონს, რომელთა შვილები (ორი და მეტი) არიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის წარჩინებული (10 ქულა) მოსწავლეები. ღონისძიებაში მონაწილეობდა ანსამბლ „ათძალი“-ს წევრები, ფოლკლორული ანსამბლი „ნიგალი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხეთი“, თბილნარის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, რომლებმაც ქალბატონებს მიულოცეს დედის დღე.

**4 მარტი** - მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საჯარო მოხელეთა პროფკავშირის ღონისძიება დედისა და ქალთა დღისადმი პროფკავშირისგან წევრ (57) ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

**5 მარტი** - აჭარისწყლის საბავშვო ბაღში ჩატარდა ხატვის კონკურსი „გაზაფხული და პატარა თითები“, რომელშიც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის რვა საბავშვო ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის 48 აღსაზრდელი, ამ კონკურსის გამარჯვებული გახდა თბილნარის საბავშვო ბაღი, II ადგილი -

ხელვაჩაურის №1 საბავშვო ბაღი, III ადგილი - ორთაბათუმის საბავშვო ბაღი. გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი სიგელები და ფასიანი საჩუქრები, ხოლო ყველა მონაწილეს სიგელები კონკურსში მონაწილეობისათვის. მონაწილე ბაღის ადმინისტრაციებს განათლების პროფკავშირებისგან გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

**8 მარტი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ქალთა დღე მიულოცეს ბათუმის წმინდა ეკატერინეს სახელობის სატნოების სავანის მობინადრეებს, გაიმართა საზეიმო კონცერტი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები. სატნოების სავანეში მყოფ ქალბატონებს მიართვეს ყვავილები და ტორტი.

**12 მარტი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მორიგი გასვლითი კონცერტი წარუდგინეს ფერიის წმ.მატათას სახელობის სატნოების სავანის მობინადრეებს. სატნოების სავანის მობინადრეებს მიართვეს ტორტი.

**30 მარტი** - ლაზურ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოხდა ინფოტურის ორგანიზება.

**9 აპრილი - 11 საათი** - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა და სტუმრებმა გაიხსენეს დაყვავილებით შეამკეს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი. გაიმართა კონცერტი სადაც მონაწილეობდნენ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრისა და სასოფლო კლუბებთან არსებული ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები.

**14 აპრილი 15:00 საათი** - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის „ყველაზე ჭკვიანი“ ფინალი. ფინალში მონაწილეობდა 12 მოსწავლე. I ადგილზე გავიდა მარიამ გოგიტიძე - ახალსოფლის საჯარო სკოლა; II ადგილი - დავით სიხარულიძე სალიბაურის საჯარო სკოლა; III ადგილი - მარიამ მიქელაძე თხილნარის №1 საჯარო სკოლა; ფინალის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცათ. ფინალის მონაწილის სიგელი და ფასიანი საჩუქრები (მეხსიერების ბარათი); მე-2, მე-3 ადგილებზე გასულ მოსწავლეებს შესაბამისი სიგელები და ენციკლოპედია. 1 ადგილზე გასულს გამარჯვებულის სიგელი და პლანშეტი.

**18 აპრილი 12:00 საათი** - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში ჩატარდა აჭარის განათლების და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ბავშვთა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების დათვალიერება. სულ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 22 შემოქმედებითი ჯგუფი. ჟიურის გადაწყვეტილებით ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა **შიგიდი სიმღერის**: ქედქედის კლუბთან არსებული ვოკალური ანსამბლი „კარჩხალი“, ახალშენის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ჯგუფი; სარფის კლუბთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ჰეანა“; ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის ანსამბლი, კირნათის კლუბთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ლივანა“, მახოს საჯარო სკოლის ბავშვთა გუნდი „ფორტე“, ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი „ფესვები“. **ხუთი ქორეოგრაფიული** - ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მაჭახელა“; ხელვაჩაურის №1 სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „გორდა“, ახალსოფლის საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალი თაობა“.

**22 აპრილი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა სიმღერის ქასთინგი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის. კონკურსი ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფად დაწყებითი და საბაზო კლასის მოსწავლეებს შორის. სულ მონაწილეობდა 18 საჯარო სკოლის 36 მოსწავლე. კონკურსის მე-2 ეტაპზე გადავიდნენ: **დაწყებითი კლასების ჯგუფი (I-VI კლასი)** მარიცა მსხალაძე მახოს საჯარო სკოლა; ლინდა და ლიზი კახაბერიძეები; მაგდა ხინკილაძე ქვემო მახოს საჯარო სკოლა; ნიკოლოზ თანდილავა სარფის საჯარო სკოლა; ნინო კვირიკაძე ჩაისუბნის საჯარო სკოლა; სუზანა ასანიძე ფერიის საჯარო სკოლა; ანა ლომაძე მარადიდის საჯარო სკოლა; ელზა გორგაძე მახოს საჯარო სკოლა; ნინო სურმანიძე კაპრეშუმის საჯარო სკოლა. **საბაზო კლასების**



**ჯგუფი** -მარიამ მსახალაძე, ნანა არჯევანიძე, ნინიკო არჯევანიძე ქედქედის საჯარო სკოლა; ნინო დეკანაძე ,ლინდა ფუტყარაძე ჭარნალის საჯარო სკოლა; გურანდა ჩხიკვაძე ,ანა ბოლქვაძე, ლუიზა დუმბაძე ხელვაჩაურის საჯარო სკოლა; ელენე ბოლქვაძე ჩაისუბნის საჯარო სკოლა; მეგი ბაჯელიძე მახოს საჯარო სკოლა; ლიკა ქორიძე მახოს საჯარო სკოლა; ალანა ჯაყელი ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა ; ლუკა ზაქარაძე აჭარისწყლის საჯარო სკოლა.

**24 აპრილი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის მოსწალებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სენაკში გამართულ მუსიკალურ ფესტივალში.

**25 აპრილი 15 საათი** - წიგნის დღესთან დაკავშირებით ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოქმედ და ყოფილ ბიბლიოთეკარებთან. საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა **4 ბიბლიოთეკარი**: 1.ზინა მამულაძე - დასახურებულ ბიბლიოთეკარი , აიპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი დეაწლმოსილი მუშაობისათვის, 2. ვალენტინა კოჩაძე - დამსახურებულ ბიბლიოთეკარი ჭარნალის საჯარო სკოლის პედაგოგი დეაწლმოსილი მუშაობისათვის , 3. თინათინ ლორთქიფანიძე - დამსახურებულ ბიბლიოთეკარი ერგეს საჯარო სკოლის პედაგოგი დეაწლმოსილი მუშაობისათვის, 4. ნათელა ქორიძე დამსახურებულ ბიბლიოთეკარი დეაწლმოსილი მუშაობისათვის. შეხვედრას ესწრებოდნენ ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო და ახალგაზრდული განყოფილების წარმომადგენლები , რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი მუშაობის პრეზენტაცია და სლაიდშოუ. შეხვედრა მუსიკალურად გააფორმეს ლაზურმა ანსამბლმა „ კოლხა“ და ანსამბლმა „ათძალი“.

**26 აპრილი** - თბილისის ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა თვითნასწავლი მხატვრებისჰასან ჰელიმიშისა და დურსუნ კიკნაძის ნამუშევრების გამოფენა . გამოფენას ესწრებოდა ჰელიმიშის ერთადერთი ქალიშვილი ნარიმა ჰელიმიში და სამუზეუმო განყოფილების უფროსი მაგული მურადიშვილი.

**9 მაისი 12:00 საათი** - ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო საზეიმო ღონისძიება , მეორე მსოფლიო ომის მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამდა თანამშრომლებმა, გაიმართა საზეიმო კონცერტი ,სადაც მონაწილეობდა ხელვაჩაურის კულტურისცენტრთანარსებულიქორეოგრაფიული ანსამბლი „ მაჭახელა“ და კულტურის ცენტრის სხვა წარმომადგენლები. საზეიმო ღონისძიებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დაესწრო მუნიციპალიტეტის ერთადერთი ვეტერანი თამარ კამენცევა.

**13 მაისი 13:00 საათი** - ახალშენის კულტურის სახლში მოეწყო ანიმაციური ფილმების „თოფუზის “ ჩვენება ,რომელსაც ესწრებოდა ახალშენის 150- მდე მკვიდრი. გარდა ამისა „თოფუზის “ დამარსებელმა ზურაბ დიასამიძემ ახალშენის №1 საჯარო სკოლის 12 მოსწავლეს ჩაუტარა მასტერ-კლასი . ბავშვებმა ადგილზე შექმნეს ანიმაციური ფილმი ,რომელიც ნაჩვენები იქნება ბათუმის საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე.

**13 -15 მაისი** - სასტუმრო „შერატონში “ ჩატარდა მე-9 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „**ბათუმი ექსპო - 2016**“,სადაც მონაწილეობდა 8 ქვეყანა, სხვადასხვა ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშებით, ფოლკლორული ანსამბლებით „ ათძალი “ და „ კოლხა “ , ლაზური სამზარეულოთი ,რომლის დაგემოვნება ყველა დამთვალიერებელს შეეძლო.

**15 მაისი** - აბაშაში სახალხო ზეიმი „კონსტანტინოზა“ გაიმართა, სადაც მიწვეული იყო ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის ანსამბლები „კოლხა" და „ათძალი".

**18 მაისი 13:00საათი**- მუზეუმების დღესთან დაკავშირებით და მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩვენი კუთხის ისტორიის უკეთ გაცნობის მიზნით მოეწყო ექსკურსია მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ყოროლისთავისა და ზ.ახალშენის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეების. მოსწავლეებს მუზეუმის დაარსების შესახებ მაჭახლის ხეობის ისტორიაზე ბავშვებს ესაუბრა მუზეუმის თანამშრომელმა ლეილა ქობულაძემ.

**19 მაისი 12:00 საათი** - ხელვაჩაურის რესურსცენტრის ინიციატივითა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითშემოქმედების სიმღერების კონკურსის ფინალური ტური ჩატარდა. კონკურსი ორ კატეგორიაში ჩატარდა დაწყებითი (I-VI კლასები) და საბაზო (VII – XII კლასები) I კატეგორიაში: I ადგილი - ანა ლომაძე მარადიდის საჯარო სკოლა; II ადგილი - მარიცა მსხალაძე მახოს საჯარო სკოლა და ნიკოლოზ თანდილავა სარფის საჯარო სკოლა; III ადგილი - ლიზა და ლინდა კახაბერიძეები სალიბაურის №1 საჯარო სკოლა და ელზა გორგაძე მახოს საჯარო სკოლა; II კატეგორიაში: I ადგილი - ალანა ჯაყელი ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა; II ადგილი - ლუკა ზაქარაძე აჭარისწყლის საჯარო სკოლა; III ადგილი - მეგი ბაჯელიძე მახოს საჯარო სკოლა.

**20 მაისი 13:00საათი** - მუზეუმების დღესთან დაკავშირებით და მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩვენი კუთხის ისტორიის უკეთ გაცნობის მიზნით მოეწყო ექსკურსია სარფის ისტორიულ - ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩიქუნეთის საჯარო 8 კლასის მოსწავლეების. მოსწავლეებს მუზეუმის დაარსების შესახებ და მუზეუმის ნამუშევრებზე ესაუბრა მუზეუმის თანამშრომელმა .

**20 მაისი** - ქ.ქუთაისში ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში ფოლკლორის ფესტივალის ფინალში მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლები მონაწილეობდნენ ფინალში გასული ანსამბლები გაემგზავრებიან ქ.თბილისში ფოლკლორულ ფესტივალზე.

**21 მაისი** - ქალაქ თბილისში ჩატარდა **ეტალონის** ფინალურ ტური . სულ მონაწილეობდა 82 „ეტალონი მოსწავლე“ მათ შორის ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლე გოგიტა ბარამიძე , რომელიც ათეულში გავიდა.

**22 მაისი** - ქ.ბათუმში ხელოვნების ცენტრში გაიმართა აჭარის განათლების და კულტურის სამინისტროს ბავშვთა ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების დათვალიერების მე-2 ეტაპი .სულ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 10 ანსამბლი. ფინალში გავიდა სარფის კლუბთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ჰეანა“ და კირნათის კლუბთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ლივანა“.

**26 მაისი 12:00საათი** - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში გაიმართა დამოკიდებლობის 25-ე წლისთავის აღსანიშნავი სახალხო ზეიმი, სპორტული და კულტურული ღონისძიებები, მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა; ჩატარდა შეჯიბრის სპორტის სახეობებში : სიმძიმეების აწევაში, მკლავჭიდსა და დარცში. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები.

**1 ივნისი 12:00 საათი** - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ გაიმართა საზეიმო ღონისძიება-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები ჩატარდა ჭადრაკის ტურნირი 12 წლამდე ბავშვებს შორის; ხატვის კონკურსი ასფალტზე. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. მოეწყო მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ნამუშევრების გამოფენა; ბოლოს მუნიციპალიტეტისგან ბავშვებისთვის მოეწყო უფასო ნაყინის აქცია.

**13-15 ივნისი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრის მონაწილეობა მიიღო სახალხო თოჯინების ფესტივალში „ტიკინები 2016“. რომელსაც „ჭიათურის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა. ფესტივალში საქართველოს 9 რეგიონის თოჯინების თეატრი მონაწილეობდა. თითოეულმა თეატრმა მაყურებლის წინაშე საკუთარი რეპერტუარიდან სპექტაკლი წარმოადგინა. კონკურსანტების გამოსვლა სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა. ხელვაჩაურის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელს ნათია მახაჭაძეს გადაეცა დიპლომი საუკეთესო რეჟისურისათვის.

**21 ივნისი**- მოეწყო ხელვაჩაურის თოჯინების თეატრის გასვლითი ღონისძიება ქედისა შუახევის მუნიციპალიტეტებში. თეატრმა მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლი.

**22 ივნისი** - ხელვაჩაურის კულტურის ცენტრში გაიმართა მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებს შორის მხატვრული კითხვისა და სიმღერის კონკურსის ფინალისტების ერთობლივი კონცერტი.

**24 ივნისი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებითა და ხელვაჩაურის რესურსცენტრის ორგანიზებით 75 მოსწავლეს და 5 მასწავლებელს ერთი დღე გაულამაზადა. ხელვაჩაურის რესურსცენტრში არსებული კლუბების აქტიური წევრებისათვის ქ. ქუთაისში (გელათი, მოწამეთა, ბაგრატი- ტაძარი) ექსკურსია მოეწყო.

**29 ივნისი**- ქ.თბილისში რუსთაველის თეატრში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ფინალური კონცერტი გაიმართა.სადაც მონაწილეობდნენ ხალხური სიმღერის ახალგაზრდული და ქალთა ანსამბლები, მგალობელთა გუნდები. ხელვაჩაურის ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „ათმალმა,“ „კოლხამ“, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „კოლხეთმა“ და მალაყმადეების ოჯახმა ლაურიატების წოდება მიიღო. „კოლხეთი“ მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა .

**03 ივლისი** - ქ.ქობულეთში გაიმართა ფოლკლორული ფესტივალი „ არტგენი“ ,რომელშიც მონაწილეობდა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხეთი“.

**04 ივლისი 12:00 საათი** - სოფ.ქედქედში კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა საკლუბო ფოლკლორული ღონისძიება .სადაც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი რეწვის ნიმუშები. ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ნომრები. ინდივიდუალური შემსრულებლები.

**12 ივლისი 16:00 საათი** -აჭარისწყლის კულტურის სახლის წარმომადგენელთა ორგანიზებით სოფ. მალაკონში მდინარის პირას ფოლკლორული ღონისძიება გაიმართა . საზეიმო კონცერტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასკოლო კლუბებისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ. ასევე მოეწყო რეწვის ოსტატთა გამოფენა- გაყიდვა, წარმოჩენილი იყო ადგილობრივი სამზარეულოც. ღონისძიებას უცხოელი ტურისტებიც ესწრებიდნენ. იქვე რეწვის ოსტატებს სამახსოვროდ ფასიანი საჩუქრები გადაეცა.

**16 ივლისი** - თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა მორიგი ფესტივალი „არტ-გენი 2016." ფესტივალზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მიწვეული იყო ფოლკლორული ანსამბლები: „ნიგალი" და „კოლხა." ისინი მსმენელის წინაშე აჭარული და ლაზური სიმღერებით წარსდგნენ.

**29 ივლისი 12:00 საათი** - სარფში მონასტრის გზაზე (კალენდერეში) ჩატარდა საკლუბო ფოლკლორული ღონისძიება „ჩვენი სოფლის მოძახილი“ გაიმართა. ლაზური სიმღერები და ცეკვები ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ იყო წარმოდგენილი. პარალელურად მიმდინარეობდა რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა,ასევე წარმოჩენილი იყო ლაზური სამზარეულო.

**8 აგვისტოს** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულები გაიხსენეს და სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკვეს.

**13 აგვისტოს** ბათუმში აჭარის სავაჭრო და სამრეწველო პალატასთან არსებული აჭარის მეფუტკრეთა ბიზნეს ასოციაციის ორგანიზებით თაფლის ფესტივალი გაიმართა. ღონისძიებაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აქტიურმა მეფუტკრეებმა მიიღეს მონაწილეობა და საკუთარი ნაწარმი კოლონადებთან გამოფინეს. ფესტივალის სტუმრებს თაფლის დაგემოვნებისა და შეძენის პარალელურად ფოლკლორული ჯგუფების მოსმენის საშუალებაც ჰქონდათ. ხელვაჩაურის ფოლკლორული ანსამბლები „ათძალი“ და „კოლხა“ ერთსაათიანი პროგრამით წარსდგა მსმენელის წინაშე. პარალელურად მოეწყო რეწვის-ოსტატთა გამოფენა.

**25 აგვისტოს** ევროპის მოედანზე გაიმართა ტრადიციული რეწვის ოსტატების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და ადგილობრივი ბენდების კონცერტი. გამოფენაში მონაწილეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან რეწვის ოსტატებმა სოფელ თხილნარის მკვიდრმა ვარდო დევამემ და სოფელ ზემო ჩხუტუნეთის მკვიდრმა ნოე ნაგერვამემ მიიღო.

**27 აგვისტო** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით სახალხო დღესასწაული "კოლხობა" აღინიშნა. საზეიმო ღონისძიება სარფში დაიწყო და გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში გაგრძელდა. გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე საზეიმო კონცერტი და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა მოეწყო. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ენახათ რამდენიმე წუთით გაცოცხლებული არგონავტების მითი, დაეგემოვნებინათ ლაზური კერძები, მოესმინათ უძველესი ფოლკლორული სიმღერები. "კოლხობა 2016"-ში ადგილობრივი ანსამბლებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა სენაკის, ჩხოროწყუს და აბაშის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი ჯგუფები. წელს 39-ედ აღინიშნა.

**30 -2 ოქტომბერი** ქალაქ ბათუმში, ყინულის სასახლეში, კომპანია "GEONET EXPO-ს" ორგანიზებით მე-6 საერთაშორისო აგრო-სასურსათო პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა-გაყიდვა „Agro Batumi 2016“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ხელვაჩაურის კუთხე.

**6 ოქტომბერი** - მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ქედქედში საზეიმო ღონისძიება გაიმართა. წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის რამდენიმე პედაგოგები სიგელებით დაჯილდოვდა.

**12 ოქტომბერი** ახალშენის კულტურის სახლში მოეწყო ანიმაციური ფილმების „თოფუხის“ ჩვენება და მოსწავლეებისათვის ჩატარდა მასტერკლასი.

**13-15 ოქტომბერი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა ანიმაციური ფილმების მე-8 საერთაშორისო ფესტივალს "თოფუხს" უმასპინძლა. საბავშვო ფილმების ჩვენება ბათუმის თოჯინების თეატრში გაიმართა. წარმოდგენილი ფილმებიდან საუკეთესო საბავშვო ფილმი ბავშვებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეარჩია.

**09 ნოემბერი** - სოფ.ქვედა ჩხუტუნეთში გაიმართა სახალხო დღესასწაული „მაჭახლობა“. დღესასწაულზე ერთდროულად მიმდინარეობდა სპორტული და კულტურული ღონისძიებები გაიმართა შეჯიბრი ჭადრაკში, ნარდში და მკლავჭიდაში. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. საზეიმო კონცერტში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ფოლკლორული, ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები. მოეწყო სახალხო რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა; ტრადიციული კერძების მომზადება და დაგემოვნება. საპატიო მაჭახლელები -2016 გახდა ამ ხეობის მკვიდრი ნოდარ მორთულაძე, რომელსაც გადაეცა საპატიო მაჭახლელების სიგელი და

ფასიანი საჩუქარი. „საპატიო მაჭახელის ქამარი“ გადაეცათ დღესასწაულის საპატიო სტუმრებს; ზურაბ პატარაძეს - აჭარის მთავრობის თავმჯდომარე; ილია ნაკაშიძეს - საქართველოს პარლამენტის დეპუტატს; მერაბ კარანაძეს - აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ანზორ დევაძეს - ხელვაჩაურის ყოფილ გამგებელს.

**02 დეკემბერი** - თხილნარის კულტურის სახლში მორიგი ფოლკლორული ღონისძიება „მიმოზნეული მარგალიტები“ ჩატარდა, რომელსაც ფოლკლორის დარგთან ერთად ორგანიზებას უწევდა თხილნარის, მახოს და ჭარნალის საკლუბო დაწესებულებები. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მესიტყვეები და მომღერლები, მოცეკვავეები და მუსიკოსები, მუსიკალური ოჯახები, დუეტები, ჯგუფები თუ ინდივიდუალური შემსრულებლები. ღონისძიების ბოლოს მონაწილე ფოლკლორისტებს გადაეცათ სამახსოვროდ საჩუქრები.

**26 დეკემბერი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაში გაიმართა საახალწლო-საშობაო ღონისძიება. მაცურებლის წინაშე სხვადასხვა ნომრებით სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელები წარსდგნენ

**27 დეკემბერი** - „მამლის უცნაური ახალი წელი“ - ამ სახელოვნების საახალწლო ზღაპრით გაულამაზეს პატარებს ერთი დღე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. სპექტაკლი კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს. სპექტაკლის სცენარი სპეციალურად ბავშვებისათვის დაიწერა და სცენაზე გაცოცხლდა მათთვის საყვარელი ზღაპრის გმირები. ჩვენების დასრულების შემდეგ ყველა პატარას საჩუქრად ტკბილეული გადაეცათ.

## განათლება

**10 თებერვალი 12 საათი** - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო სტუდენტური პროგრამის პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდა აჭარის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები და სტუდენტები. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი იყო 2015 წლის სტუდენტური პროგრამის ანგარიში და 2016 წლის სტუდენტური პროგრამის მიზანი და კრიტერიუმები. სტუდენტებმა, მათ მიერ დასმულ ყველა კითხვაზე მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.

**12 თებერვალი 12 საათი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაში მოეწყო მუნიციპალიტეტის 20 მედალოსანი მოსწავლის დაჯილდოება. აქედან 18 ოქროს და 2 ვერცხლის. მახინჯაურის სკოლაში აიღო 5 ოქრო.

**15 თებერვალი 12 საათი** - პროექტის „*გამგებელი სკოლაში*“ ფარგლებში ახალსოფლის საჯარო სკოლის ისტორიის წრის მე-9-12-ე კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგმა ჩატარეს ღია გაკვეთილი თემაზე „საქართველო მე-14 -ის საუკუნის ბოლოს და მე-15-ე საუკუნეში“, სადაც მიწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. მოცემული თემის ირგვლივ გაიმართ დისკუსია, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ შეხვედრაზე მყოფი ახალგაზრდები.

**22 თებერვალი** - გაიხსნა ახლად გარემონტებული სალიბაურის №1 საჯარო სკოლა.

**22 თებერვალი** - გაიხსნა აჭარისწყლის ახალი საბავშვო ბაღი. ბაღი ორსართულიანი კაპიტალურ შენობაში განთავსდა და 120 ბავშვზეა გათვლილი. ბაღი დაკომპლექტებულია აღმზრდელ-მასწავლებლებით, ფსიქოლოგით და ექთნით, დასაქმდა 23 ადამიანი. ბაღში ფუნქციონირებს 3 ჯგუფი, სადაც უკვე ირიცხება 90 აღსაზრდელი. აჭარისწყლის საბავშვო ბაღის სამუშაოები აწარმოა ტერდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ლადა“. პროექტის ღირებულება 405 381 ლარია.

**23 მარტი - 13 საათი** პროექტის „*გამგებელი სკოლაში*“ ფარგლებში გაიმართა გამგებლის მორიგი შეხვედრა ახალშენის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრის თემა „საგარეო ორიენტაციის საკითხები სახელმწიფოებრიობის ისტორიაში“. თემის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

**30 მარტი 13:00** - პროექტის „*გამგებელი სკოლაში*“ ფარგლებში გაიმართა გამგებლის მორიგი შეხვედრა თბილნარის №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრის თემა „გიორგი სააკაძე“.

**13 აპრილი 11:00 საათი** - პროექტის „*გამგებელი სკოლაში*“ გამგებლის მორიგი შეხვედრა მაჭახლის საჯარო სკოლის უფროსკლასელებთან და მასწავლებლებთან შეხვედრის თემა „სახელმწიფო ხელისუფლების კრიზისი მე-12 საუკუნის საქართველოში (დემეტრე I-სა და გიორგი III-ის მეფობის პერიოდი)“. თემის ირგვლივ გაიმართა კითხვა-პასუხის ექსკურსი, სადაც აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეები .

**14 აპრილი 14:00 საათი** - ქართული ენის დღესთან დაკავშირებით შპს „ლამპარი“ ს მერ მოეწყო ორგანიზებული შეხვედრა საბავშვო ბაღების 5-6 წლიანთა აღსაზრდელებს შორის კითხვაში გამოვლენილ ბავშვებთან. სადაც მუნიციპალიტეტის ბაღების 12 აღსაზრდელი იყო მიწვეული. ბავშვებს გადაეცათ სიგელები და შპს „ლამპარი“ ს სასაჩუქრე ვაუჩერები .

**15 აპრილი 12:00 საათი** - ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაში მოეწყო სტუდენტური პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა-. სტუდენტებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

**10 მაისი 12:00 საათი** - პროექტის „*გამგებელი სკოლაში*“ გამგებლის მორიგი შეხვედრა აჭარისწყლის, კირნათის და მარადიდიდს საჯარო სკოლის უფროსკლასელებთან და მასწავლებლებთან შეხვედრის თემა „გლობალიზაცია უტოპია თუ რეალობა“.

**30 ივნისი 12:00 საათი** - ხელვაჩაურის საპორტო სკოლაში გაიმართა „ მხიარული სტარტების“ ს ფინალი საბავშვო ბაღებს შორის ფინალში მონაწილეობდა ხელვაჩაურის, თბილნარის ,სალიბაურის და აჭარისწყლის საბავშვო ბაღები. გამარჯვებული გახდა სალიბაურის საბავშვო ბაღი,რომელიც მუნიციპალიტეტისგან დასაჩუქრდა „მაგდონალსის“ ვაუჩერებით. აგრეთვე ფასიანი საჩუქრები გადაეცათ საბავშვო ბაღების 11 აღმზრდელს აქტიური საქმიანობისათვის.

**06 ივლისი 15:00 საათი** -აჭარისწყლის საბავშვო ბაღში გაიმართა შემაჯამებელი ღია ტურნირი ჭადრაკში, სადაც მუნიციპალიტეტის ყველა მოქმედ ბაღს გადაეცა საჭადრაკო დაფები და დაიგეგმა პედაგოგების გადამზადება ჭადრაკში.

**02 აგვისტოს** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ბათუმის საზღვაო აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდული გაფორმდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ბსსა-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტთან არსებული „ტურიზმში კომპეტენციათა რეგიონულ ცენტრს“შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. რომელიც მიზნად ისახავს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის, გამგეობაში სტუდენტების სტაჟირებას, ერთობლივი კვლევითი სამუშაოების წარმოებას და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე მიმდინარე წლის ზაფხულში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სტაჟირება უკვე გაიარა საზღვაო აკადემიის 10 სტუდენტებმა.

**30-31 აგვისტო** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ბსსა-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“ ამ თემაზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებისათვის

ჩატარდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში. ტრენინგში მონაწილეობას ღებულობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 10 (ათი) თანამშრომელი.

**31 აგვისტო** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სტუდენტთა მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში განცხადებების მიღება. მიმდინარე წელს არსებული კრიტერიუმები 43-მა სტუდენტმა დააკმაყოფილა. გამგეობაში სულ 48 განცხადება შემოვიდა. პროგრამით სარგებლობენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის სტუდენტები, რომლებსაც 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრში თითოეულ საგანში აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (91 და მეტი ქულა) და სწავლობს საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში. შარშან სტუდენტთა მხარდამჭერის პროგრამით 29 სტუდენტმა ისარგებლა, წელს 43-მა, ეს კი იმის დასტურია, რომ ახალგაზრდებისთვის ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეულმა სტუდენტმა დარიცხვით მიიღო 423 ლარი. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის პირის სწავლის საფასური სრულად (1800) დაფინანსდა. სულ გამოიყო 19989 ლარი.

**15 სექტემბერს** ხელვაჩაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდება. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში 13 საბავშვო ბავშვთა ფუნქციონირებს, სადაც განათლებას 1680-მდე აღსაზრდელი ღებულობს.

**15 სექტემბერს** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნადიმ ვარშანიძემ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ნოდარ ხალვაშმა სასწავლო პეროცესის დაწყება ხელვაჩაურის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს მიულოცეს.

**19 სექტემბერი** ახალი სკოლა საზეიმოდ გაიხსნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა ჭარნალში.

**19 სექტემბერი** ექსპლუატაციაში შევიდა ახალსოფლის და მახოს საბავშვო ბაღები, რომელთა გახსნაც მოხდა საზეიმო ვითარებაში.

**30 სექტემბერი** - სალიბაურის №1 საჯარო სკოლა. 2016 წლის 30 სექტემბერს შედგა ხელვაჩაურის რესურსცენტრის მიერ ინიცირებული და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსებული **ლიტერატურული კონკურსი**: „წიგნი - მომავლის ხედვა“. პირველი ადგილი სალიბაურის #2 რუსუდან შარაშიძე, მეორე ადგილი თხილნარის #2 თამუნა კოჩალიძე, მესამე ადგილი სალიბაურის #1 ნინო ბერიძე.

**07 ოქტომბერი 14:00** საათი-თხილნარის №1 საჯარო სკოლაში გაიმართა ხელვაჩაურის რესურსცენტრის მიერ ინიცირებული და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსებული მათემატიკის კონკურსი „**მოაზროვნე**“ VII –IX და X –XII კლასის მოსწავლეებს შორის.

**17 ოქტომბერი**-თხილნარის №1 საჯარო სკოლაში ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა თხილნარის მკვიდრ ვეტერანებთან. მოსწავლეებს გააცნეს ვეტერანთა ბიოგრაფიები და მათი ღვაწლი ქვეყნის წინაშე. შეხვედრის დასრულების შემდეგ თხილნარის საჯარო სკოლის ეზოში ვეტერანებმა ხეების დარგვის აქციაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძველთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

**25 ოქტომბერი** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახში“ 13 საბავშვო ბავშვის პედაგოგს ჭადრაკში ტრენინგი აჭარისწყლის მკვიდრმა, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელმა ზურაბ ზაქარიაძემ ჩაუტარა. სამომავლოდ იგეგმება ყველა საბავშვო ბავშვი ჭადრაკის სწავლების იდეის განხორციელება 5-6 წლიან ჯგუფებში.

**2 ნოემბერი** - სოფელ თხილნარში გაიხსნა 120 აღსაზრდელზე გათვლილი გარემონტებული საბავშვო ბავშვი.

**11 ნოემბერი - "გამგებელი სკოლაში"** - პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განახლდა. გამგებელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლაში ისტორიის კლუბის წევრებს შეხვდა. შეხვედრის თემა იყო „აფხაზეთის ომი“. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნადიმ ვარშანიძემ მოსწავლეებთან ერთად აფხაზეთის ომის შესახებ 2 საათის განმავლობაში იმსჯელა მოსწავლეებთან დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

**12 ნოემბერი** - სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით ახალსოფლის საბავშვო ბაღში გაიმართა შეხვედრა - პრეზენტაცია. ააიპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ მომზადდა მოკლე პრეზენტაცია თუ როგორ უნდა განხორციელდეს ბაღებში ახალი პროგრამის დანერგვა.

**24 ნოემბერი-** *"ინოვაციები სასწავლო პრაქტიკაში"* მეორე მუნიციპალური კონფერენცია ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სალიბაურის № 1 საჯარო სკოლაში. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბიოლოგიის, ისტორიის, მათემატიკის, ქიმიის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა 28 მოხსენება.

**29 ნოემბერი-** *"გამგებელი სკოლაში"* - პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში გრძელდება. დღეს გამგებლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლაში ისტორიის კლუბის წევრთა შეხვედრა შედგა. შეხვედრის თემა იყო „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები“. პროფესორ ნადიმ ვარშანიძესთან და მოსწავლეებთან დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

**16 დეკემბერი - "გამგებელი სკოლაში"** - პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში გრძელდება. დღეს გამგებლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლაში ისტორიის კლუბის წევრთა შეხვედრა შედგა. შეხვედრის თემა იყო „დიდი ომიანობა ეგრისში“. პროფესორ ნადიმ ვარშანიძესთან და მოსწავლეებთან დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

**26 დეკემბერი** - სარფის, ყოროლისთავის, კირნათის და მარადიდის საჯარო სკოლებისთვის გამგეობამ სულ 200 დასახელების ისტორიული, ეროვნული, უცხოური, საბავშვო და თანამედროვე ლიტერატურა დაწესებულებებისთვის სახელმძღვანელოები დირექციის თხოვნის საფუძველზე შეიძინა და გადასცა.

**28 დეკემბერი** - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზი, განათლების, კულტურის და სპორტის 23 წარმატებული მუშაკების და სპორტსმენების დაჯილდოება მოეწყო საჩუქრად გადაეცათ სიგელები და ფულადი ჯილდო.



## ახალგაზრდული საქმე (ცენტრი) - 2016 წელი

### წლის მონაცემებით:

- ✓ ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის? 23 შეხვედრა;
- ✓ ახალგაზრდობის ცენტრის ბიბლიოთეკით ყოველთვიურად 420-მდე ახალგაზრდა სარგებლობს;
- ✓ კითხვის კლუბში განხილული იქნა 14 ნაწარმოები, ჩატარდა „ლიტერატურული ვიქტორინა“;
- ✓ კინო კლუბში განხორციელდა 9 ფილმის ჩვენება და განხილვა;
- ✓ არაფორმალური განათლების მხრივ ჩატარდა: 14 ტრენინგი; მოეწყო გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები.



- ✓ არტკლუბის ფარგლებში სამი თვის განმავლობაში შეისწავლებოდა ხელსაქმე.
- ✓ მოეწყო 12 საჯარო ლექცია - სემინარი; მოეწყო შშმ პირების მშობლებთან შეხვედრა.
- ✓ ახალგაზრდების ჩართულობით დაიდგა სპეციალური „გველისმჭამელი“.
- ✓ ჩატარდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ველომარათონი, სწრაფი ბეჭდვის კონკურსი.



**13 იანვარს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინგლისური ენის კლუბში ჩატარდა ინგლისური ენის შემსწავლელი გაკვეთილები. ინგლისური ენის კლუბს ხელმძღვანელობს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომელი, მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე სარა შოლცი.

**15 იანვარს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?

**20 იანვარს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინგლისური ენის კლუბში ჩატარდა ინგლისური ენის შემსწავლელი გაკვეთილები.

**21 იანვარს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინოკლუბში ნაჩვენები იქნა ტომას კარტერის ფილმი „მწვრთნელი კარტერი“. ახალგაზრდებმა ფილმის დასრულების შემდეგ განიხილენ ფილმი და ერთმანეთს გაუზიარენ თავიანთი მოსაზრებები. ფილმს დაესწრო 8 ახალგაზრდა.

**22 იანვარს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?

**5 თებერვალს** - ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის“

**12 თებერვალს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა.

**13 თებერვალს** ა(ა)იპ „თანამშრომლობისა და განვითარების რეგიონული ქსელის“ „უმაღლესი განათლების წახალისება და პოპულარიზაცია აჭარის რეგიონის განვითარებისათვის“ პროექტის ფარგლებში ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორმა ქეთევან ბერიძემ ჩატარა ტრენინგი "მომავალი პროფესიის არჩევის მაორიენტირებელი ხერხების შესახებ". ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 35 ახალგაზრდამ.

**14 თებერვალს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი მასალკინმა ჩატარა საჯარო ლექცია თემაზე : „უნივერსიტეტის მისია, რას იძლევა საუნივერსიტეტო განათლება“. საჯარო ლექცია განხორციელდა ა(ა)იპ „თანამშრომლობისა და განვითარების რეგიონული ქსელის“ „უმაღლესი განათლების წახალისება და პოპულარიზაცია აჭარის რეგიონის განვითარებისათვის“ პროექტის ფარგლებში. ლექცია 30 ახალგაზრდა დაესწრო.

**16 თებერვალს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი ირმა გაბინაშვილმა ახალგაზრდებთან ჩატარა საინფორმაციო შეხვედრა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.

**8 - 9 თებერვალს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: "მოხალისეობა", ტრენინგს გაუძღვა ამერიკელი მოხალისე სარა შოლცი. ტრენინგს დაესწრო სულ 15 ახალგაზრდა, შემუშავებული იქნა მოხალისეთა კლუბის სამოქმედო გეგმა.

**15 თებერვალს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?.

**02 მარტს** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხიარულტა საზრიანთა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში „მხიარული რეგიონი“.

**8 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოწვეულ მოდერატორ მარიამ ათაბაგთან ერთად განიხილეს წიგნები: მარკ ტვენი „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰელკბერი ფინი“. შეხვედრას დაესწრო 34 ახალგაზრდა.

**11 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა.

**14 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. ტრენინგი პროექტის „სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში“ ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც უძღვებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კვიციანი. ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობაა 2 თვე და მასში სულ 26 ახალგაზრდა მონაწილეობს.

**15 მარტს, 15:30 საათზე** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბში ნაჩვენები და განხილული იქნება რიჩარდ ლაგრავენესის ფილმი "თავისუფლების მწერლები".

განხილვას უძღვებოდნენ: კინომცოდნე სოფიკო თოქმაჯიშვილი და ფსიქოლოგი ინდირა გოგობია.

**17 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში „ადამიანის საქართველოს კანონმდებლობით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების“ თემაზე ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგზე განხილული იქნა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პირადი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები. **2016 წლის 18 მარტს** ხელვაჩაურის

ახალგაზრდობის ცენტრში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა.

**19 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში თემაზე „მხატვრული ესეს წერის ტექნიკა“ ტრენინგი ჩატარდა. ახალგაზრდები დაეუფლენ წიგნის ანოტაციისა და ესეს წერის მეთოდებსა და მიდგომებს. ტრენინგის მიმდინარეობისას მონაწილეებმა შეასრულეს რამდენიმე პრაქტიკული სამუშაო და მოამზადეს მოთხრობის ანოტაცია. ტრენინგზე ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული კითხვის კლუბის 30 წევრი მონაწილეობდა.

**22 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში „საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საპროცესო უფლებების“ თემაზე ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის მიმდინარეობის განხილული იქნა სასამართლოსადმი მიმართვის, სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლებები. განმარტებული იქნა უდანაშაულობის პრეზუმცია, კანონის უკუმაღლის წესი და სასამართლოს აქტები. ტრენინგი პროექტის „სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში.

**24 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში თემაზე „ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები“ ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის მიმდინარეობისას განხილული იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მექანიზმები.

**25 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა.

**28 მარტს** ჩატარდა ტრენინგი თემებზე რა უფლებები გააჩნია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, არასრულწლოვან დაზარალებულსა და არასრულწლოვან მოწმეს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას, რა არის დანაშაული, ვინ არის ადვოკატი, ვინ არის მოსამართლე-ამ საკითხებზე დღეს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგი პროექტის „სამართლებრივი განათლება“ ფარგლებში.

**29 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში ჩატარდა განხილვა ქეთრინ პეტერსონის წიგნისა "ხიდი ტერაბითიაში", განხილვას წარუძღვა წიგნის გამომცემელი და რედაქტორი, "წიგნები ბათუმში" მაღაზიისა და გამომცემლობის ერთ ერთი დამფუძნებელი მარიამ კორინთელი. განხილვა 2 საათს გაგრძელდა და მას 35 ახალგაზრდა დაესწრო.

**30 მარტს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში, არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პროექტის "სამართლებრივი განათლება" მორიგი ტრენინგი თემაზე: "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი", რომელიც ჩაატარა აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ.

**1 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. თამაშში სულ 7 გუნდი, მათ შორის 27 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**4 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ოჯახური ძალადობა“. ტრენინგი ჩაატარა აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ. მონაწილეობა მიიღო სულ 26 ახალგაზრდამ.

**7 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგ-კურსის „სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში“ მორიგი ტრენინგი. მონაწილეებმა გაიარეს ტესტირება ტრენინგებზე მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. ტრენინგს აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი იამზე ზანდარაძე უძღვებოდა.

**8 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ნატოს კვირეულთან დაკავშირებით გაიმართა დებატები რეზოლუციაზე: "საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა". მონაწილეობა მიიღო 4 გუნდმა. დებატებს დაესწრო ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი ირმა გაბინაშვილი.

**11 აპრილს** ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები“. ტრენინგს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ნათია აფხაზავა უძღვებოდა. მონაწილეობდა 24 ახალგაზრდა.

**12 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში განხილული იქნა გურამ დოჩანაშვილის სამი მოთხრობა: “იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი”, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეჭერაძე“. განხილვას წარუძღვა მოწვეული ფილოლოგი რუსუდან ნადარეიშვილი. განხილვას დაესწრო 30 ახალგაზრდა.

**14 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადგილობრივი ბიუჯეტის პროცესი“. ტრენინგი პროექტის „სამართლებრივი ცნობიერების ამადლება ახალგაზრდებში“ ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ნათია აფხაზავა უძღვებოდა. მონაწილეობდა 22 ახალგაზრდა.

**15 აპრილს** ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. თამაშში სულ 7 გუნდი, მათ შორის 32 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**19 აპრილს** ტრენინგი ჩატარდა თემაზე „საჯარო ინფორმაცია“. ტრენინგზე განხილული იქნა კომუნიკაციის სახეები, განცხადების მომზადებისა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წესები.. ტრენინგს უძღვებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კვიციანი .

**22 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. თამაშში სულ 7 გუნდი, მათ შორის 29 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**23 აპრილს** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორგანიზაციის "Lets play together" ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა სპორტული ღონისძიება „მომდი ერთად ვითამაშოთ“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. პროექტს აჭარის რეგიონში ორგანიზება გაუწია ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მშვიდობის კორპუსის ამერიკელმა მოხალისემ სარა შოლცმა. ღონისძიებაში ჩაერთვნენ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მოხალისეთა კლუბის 15 წევრი.

**25 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „იურიდიული დოკუმენტის შედგენის წესი“. ტრენინგს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კვიციანი უძღვებოდა. მონაწილეობდა 20 ახალგაზრდა.

**26 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში მოეწყო კონსტანტინე გამსახურდიას "მთვარის მოტაცების" განხილვა, რომელსაც წარუძღვა მოწვეული პროფესორი შორენა მახაჭაძე. განხილვას დაესწრო 20 ახალგაზრდა.

**28 აპრილს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი „სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობა“. ტრენინგი პროექტის „სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა ახალგაზრდებში“ ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კვიციანი უძღვებოდა. მონაწილეობა მიიღო 18 ახალგაზრდამ.

**3 მაისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ეკო საგანმანათლებლო ლექცია, რომელიც წაიკითხა მაჭახელას ეროვნული პარკის წარმომადგენელმა ნანა ბაუჟაძემ. შეხვედრას დაესწრო 15 ახალგაზრდა.

**6 მაისს** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზში, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრების მონაწილეობით გაიმართა ტრენინგ-კურსის „სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა ახალგაზრდებში“ დასკვნითი ღონისძიება „იმიტირებული სასამართლო პროცესი“. სასამართლო პროცესის გამარჯვებული გუნდი-მოპასუხე მხარე გახდა, საუკეთესო მოსარჩელედ გაიჩინა, საუკეთესო მოპასუხედ-თამარ დუმბაძე, საუკეთესო მონაწილედ კი-ლალი ვაშაკიძე დასახელდა. პროექტის მონაწილეები ორი თვის განმავლობაში გადიოდნენ სალექციო კურსს და მასში აპლიკაციების საფუძველზე შერჩეული 24 ახალგაზრდა

**10 მაისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში მოეწყო განხილვა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოების "დიდოსტატის მარჯვენა", რომელსაც წარუძღვა მოწვეული პროფესორი ნათია მიქელთაძე. შეხვედრას 22 ახალგაზრდა დაესწრო

**11 მაისს** გაიმართა სამუშაო შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან არსებული სამოქალაქო კლუბებისა და თვითმმართველობების თავმჯდომარეებთან. შეხვედრას სულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 26 ახალგაზრდა ესწრებოდა

**13 მაისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 30 ახალგაზრდა მონაწილეობდა

**20 მაისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 18 ახალგაზრდა მონაწილეობდა

**24 მაისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში ახალგაზრდებმა განიხილეს მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოები "ოსტატი და მარგარიტა". განხილვას წარუძღვა მოწვეული მოდერატორი, ფილოსოფიის პროფესორი გიორგი მასალკინი. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 23 ახალგაზრდამ

**27 მაისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 16 ახალგაზრდა მონაწილეობდა

**1 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში მშვიდობის კორპუსის ამერიკელმა მოხალისეებმა სარამ და საფიმ თემაზე „**მულტიკულტურალიზმი**“ პრეზენტაცია გამართეს. ტრენინგზე განიხილეს მულტიკულტურალიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობა, ისაუბრეს საზოგადოებაში ტოლერანტობის აუცილებლობაზე, მოიყვანეს მაგალითები ამერიკისა და საქართველოს ისტორიიდან, განიხილეს მრავალეთნიკურობის დადებითი მხარეები. შეხვედრის დასასრულს, ნაჩვენები იქნა მრავალფეროვანი კულტურის ამსახველი ვიდეო-რგოლი. ტრენინგს სულ 30 მდე ახალგაზრდა ესწრებოდა

**3 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 15 ახალგაზრდა მონაწილეობდა

**6 ივნისს** გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ლექცია-სემინარი ჩატარდა. ლექციას წარუძღვა აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსი-გურანდა ბაგრატიონი. შეხვედრის მიმდინარეობისას განიხილეს გარემოში არსებული პრობლემები, იმსჯელეს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გზებზე, ისაუბრეს შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის აუცილებლობაზე, შავი ზღვის ბინადრებსა და ბიომრავალფეროვნების შესახებ. ლექცია-სემინარს სულ 22 ახალგაზრდა ესწრებოდა

**6 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ადამიანის უფლებების შესახებ ტრენინგი ჩატარდა. შეხვედრაზე ნაჩვენები იქნა ანიმაციური ფილმები ადამიანის უფლებების შესახებ, განიხილეს საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, შეხვედრის დასასრულს კი- მოეწყო შემაჯამებელი დისკუსია. შეხვედრას უძღვებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია "თანამშრომლობის და განვითარების რეგიონალური ქსელის" წარმომადგენელი ასლან ართმელაძე. ტრენინგს სულ 20 ახალგაზრდა ესწრებოდა

**10 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 12 ახალგაზრდა მონაწილეობდა

**15 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისის, სარა შოლცის, ორწლიანი მოხალისეობრივი საქმიანობის დასრულებასთან დაკავშირებით დასკვნითი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ამერიკელმა მოხალისემ გააკეთა 2 წლის განმავლობაში საქართველოსა და ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში გაწეული საქმიანობის პრეზენტაცია და აღნიშნა მისი კეთილგანწყობა და სიყვარული საქართველოსადმი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნადიმ ვარშანიძემ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სარა შოლცი მადლობის სიგელით დააჯილდოვა. შეხვედრაზე მოეწყო ფოტოგამოფენა „სარას თვალთ დანახული საქართველო“, რომელზეც ასახული იყო მოხალისის მიერ გადაღებული საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები, ის აქტივობები და ღონისძიებები, რომელიც სარა შოლცმა განახორციელა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. შეხვედრას ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და სარა შოლცის მასპინძელი ოჯახი ესწრებოდა.

**17 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 18 ახალგაზრდა მონაწილეობდა

**21 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში მოწვეულმა ფილოლოგმა, პროფესორმა ნათია მიქელთაძემ შეკრებილ ახალგაზრდებთან ერთად განიხილა გურამ რჩეულიშვილის სამი მოთხრობა: მუნჯი ახმედი, ბათარეკა ჭინჭარაული და ალავერდობა. განხილვაში მონაწილეობა მიიღო 24 ახალგაზრდამ

**24 ივნისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 18 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**2016 წლის 1 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბის ფარგლებში განიხილეს შერონ დრეიპერის წიგნი "გონების მიღმა". განხილვას წარუძღვა აღნიშნული წიგნის ქართული თარგმანის გამომცემელი მარიამ კორინთელი. შეხვედრას სულ 25 ახალგაზრდა ესწრებოდა.

**2016 წლის 2 ივლისს** თბილნარის კულტურის სახლში ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით საქველმოქმედო სპექტაკლი „გველისმჭამელი“ გაიმართა. სპექტაკლი ვაჟა ფშაველას პოემის მიხედვით იყო წარმოდგენილი და მასში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14 ახალგაზრდა მონაწილეობდა. შემოსული თანხა გადაირიცხა დიმიტრი ცინცამის სახელობის საქველმოქმედო ფონდში. სპექტაკლის რეჟისორი გახლდათ ოთარ ქათამაძე.

**2016 წლის 06 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში მოწვეულმა მოდერატორმა მარიამ ათაბაგმა ახალგაზრდებთან ერთად განიხილა რეი ბრედბერის წიგნი "ფარენჰაიტი 451". წიგნის განხილვას კითხვის კლუბის 17 წევრი ესწრებოდა.

**2016 წლის 14 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში განხილული იქნა ოსკარ უაილდი - ს "დორიან გრეის პორტრეტი". განხილვას უძღვებოდა მოწვეული მოდერატორი მარიამ ათაბაგი ცენტრის წევრებთან ერთად. სულ დაესწრო 20 ახალგაზრდა.

**2016 წლის 15 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა. ინტელექტუალურ თამაშში სულ 15 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**2016 წლის 19 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბის ფარგლებში განიხილეს ალბერ კამიუს ნაწარმოები „უცხო“. განხილვას წარუძღვა ფილოსოფიის პროფესორი გიორგი მასალკინი. შეხვედრას სულ 22 ახალგაზრდა ესწრებოდა.

**2016 წლის 22 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში გაიმართა ინტელექტუალური თამაშის „რა სად როდის“ ფინალური შეხვედრა. თამაშში სულ 7 გუნდი, მათ შორის 42 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**2016 წლის 26 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდნენ. ახალგაზრდებმა მოინახულეს ციხე-ქალაქი ვარძია, დაათვალიერეს რაბათის სამონასტრო კომპლექსი და მის ისტორიას გაეცნენ. ექსკურსიაში, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ჩატარებული, ინტელექტუალური თამაშის „რა სად როდის“ ფინალურ შეხვედრაზე საპრიზო ადგილებზე გასული ხუთი გუნდის წევრები მონაწილეობდნენ, სულ 30 ახალგაზრდა.

**2016 წლის 27 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბში, მოწვეულმა პროფესორმა თამარ სირაძემ, ახალგაზრდებთან ერთად განიხილა ჰენრიკ სენკევიჩის რომანი "ვიდრე ხვალ, უფალო". განხილვას სულ 20 ახალგაზრდა ესწრებოდა.

**2016 წლის 28 ივლისს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები იმერეთში იმყოფებოდნენ. ახალგაზრდებმა მოინახულეს ბაგრატის ტაძარი, სოფელ ჭყვიშში მდებარე გალაკტიონ და ტიცინ ტაბიძეების სახლ-მუზეუმი, ასევე პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები. ექსკურსიაში, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კითხვის კლუბის 30 წევრი მონაწილეობდა.

**2016 წლის 3 აგვისტოს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ჩატარდა წლის საუკეთესო მოაზროვნეთა თამაში. ინტელექტუალურ თამაშში სულ 6 მოაზროვნე მონაწილეობდა. წლის საუკეთესო მოაზროვნის ტიტული მევლუდ ბერიძემ მოიპოვა. თამაშის დასრულების შემდეგ გაიმართა ლიტერატურული ვიქტორინისა და ინტელექტ კლუბის წევრების დაჯილდოების ცერემონიალი. ლიტერატურული ვიქტორინის გამარჯვებულ თამარ დუმბაძეს საჩუქრად ელექტრონული წიგნი „ქინდლი“ გადაეცა. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილის მფლობელებს საჩუქრად წიგნები და სიგელები გადაეცათ. ინტელექტ კლუბის ფარგლებში ჩატარებული ინტელექტუალური თამაშის „რა სად როდის“ ფინალური შეხვედრის საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების წევრები სიგელებით დაჯილდოვდნენ

**2016 წლის 11 აგვისტოს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები მტირალას ეროვნულ პარკში იმყოფებოდნენ. სათავგადასავლო ლაშქრობისას ახალგაზრდებმა მოინახულეს წაბლნარას ჩანჩქერი და ტბა, გაეცნენ პარკის და ზოგადად ტყეპარკების ისტორიას, მოისმინეს ინფორმაცია თუ როგორ შეიძლება მოვიპოვოთ სუფთა, სასმელად ვარგისი წყალი, საკვები, ცეცხლის განთება და ორიენტირება ბუნებაში. ლაშქრობის დასასრულს გაიმართა გასართობი, სათავგადასავლო თამაშები ლაშქრობაში მონაწილეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 34 ახალგაზრდა, რომელთა შერჩევაც ესეების საფუძველზე მოხდა.

**12 აგვისტო-ახალგაზრდობის** საერთაშორისო დღე მრავალფეროვანი პროგრამით აღინიშნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. მოეწყო გასართობი ღონისძიება სხვადასხვა სახალისო თამაშებითა და კონკურსებით, გაიმართა სახის მოხატვის აქტივობა. მცირე საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის აქტიური წევრები, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩააბარეს. მონაწილეობა მიიღო 80 ახალგაზრდამ.

**2016 წლის 19 აგვისტოს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ლიტერატურული შეხვედრა თემაზე: „მხატვრული ლიტერატურა XXI საუკუნეში“. სემინარს უძღვებოდა ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მოხალისე ლუკა ბიბინიშვილი. დაესწრო 10 ახალგაზრდა.

**22 აგვისტოს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ლიტერატურული შეხვედრა თემაზე: ტექსტი და სიმართლე. ტრენინგზე განხილული იქნა თარგმნის ტექნიკა, თარგმანი და საავტორო უფლებები, თარგმანის გავლენა ქართულ ენაზე. დაესწრო 8 ახალგაზრდა.

**26 აგვისტოს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წიგნიერების კლუბის ფარგლებში ჩატარდა ლიტერატურული შეხვედრა თემაზე: „ფილმებად ქცეული წიგნები“. შეხვედრაზე განიხილეს როგორც ქართული, ასევე უცხოური წიგნების ეკრანიზაცია, მოქმედი პერსონაჟები/მსახიობები, თამაშის ოსტატობა, ცნობილი ეკრანიზაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები. დაესწრო 5 ახალგაზრდა.

**2 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში „ლიტერატურული შეხვედრების“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა თემაზე: „პოეზია“. ახალგაზრდები გაეცნენ პოეტების ბიოგრაფიებს, მათ შემოქმედებას და წაიკითხეს თავიანთი საყვარელი ლექსები. პროექტის ფარგლებში სულ ხუთი ლიტერატურული შეხვედრა ჩატარდა სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. პროექტს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მოხალისე ლუკა ბიბინიეიშვილი უძღვებოდა. დაესწრო 7 ახალგაზრდა.

**6 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბის ფარგლებში ნაჩვენები იქნა რეჟისორ რიდილი სკოტის მიერ გადაღებული ფილმი „მარსელი“, ენდი უირის სახელწოდების რომანის მიხედვით. განხილვის შემდგომ მცირე ვიქტორინაც ჩატარდა, რომლის გამარჯვებულსაც სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა. ჩვენებას სულ დაესწრო 17 ახალგაზრდა.

**2016 წლის 8 სექტემბერს** ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე "ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი და პუბლიცისტი" ლექცია წაიკითხა ასოცირებულმა პროფესორმა და ფილოლოგმა: გურამ ბახტაძემ. შეხვედრას დაესწრო 25 ახალგაზრდა.

**9 სექტემბერს** ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე "ილია ჭავჭავაძე, როგორც საზოგადო მოღვაწე და ისტორიული ფიგურა". ლექცია წაიკითხა პროფესორმა, ისტორიკოსმა კახაბერ სურგულაძემ. შეხვედრას დაესწრო 17 ახალგაზრდა.

**2016 წლის 12 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაში „რა სად როდის“ ჩატარდა ინტელექტუალურ თამაშში სულ 15 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**2016 წლის 18 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წარმატებული აბიტურიენტები, თეატრის წევრები და ბიბლიოთეკის წლის საუკეთესო მკითხველები, სულ 35 ახალგაზრდა ბათუმის დელფინარიუმში იმყოფებოდნენ და დელფინების შოუს დაესწრნენ.

**2016 წლის 20 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბში ნაჩვენები და განხილული იქნა ფრანსუა ტრუფოს ფილმი "400 დარტყმა". განხილვას უძღვებოდა მოწვეული კინომცოდნე : სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას სულ 20 ახალგაზრდა ესწრებოდა.

**2016 წლის 22 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა საჯარო ლექცია "დავით აღმაშენებელი" . ლექცია წაიკითხა ისტორიის დოქტორმა უჩა ოქროპირიძემ. შეხვედრას დაესწრო 15 ახალგაზრდა.

**2016 წლის 28 სექტემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბში ნაჩვენები იქნა ჟოზე ჯოვანის ფილმი "ორნი ქალაქში". ფილმის დასრულების შემდეგ მოეწყო განხილვა, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული კინომცოდნე სოფიო თავაძე. კინო-ჩვენებას სულ 20 ახალგაზრდა ესწრებოდა.

**2016 წლის 29 სექტემბერს** გულის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ველომარათონი ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. მარათონმა სტარტი სოფელ შარაბიძეების შესასვლელიდან აიღო და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა. გამოვლინდა პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გასული მონაწილეები. I ადგილზე გასულ ნუკრი კონცელიძეს - ციფრული კამერა, II ადგილის მფლობელ თამაზ ვარშალომიძეს – ტაბლეტი (პლანშეტი), ხოლო III ადგილიზე გასულ კახა ცინცაძეს – მპ3 პლეერი გადაცათ საჩუქრად.



ველომარათონი ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ველოსპორტის პოპულარიზაციას.

**3 ოქტომბერს-გულის** მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ველომარათონი ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. I ადგილზე გასულ ნუკრი კონცელიძეს - ციფრული კამერა, II ადგილის მფლობელ თამაზ ვარშალომიძეს – ტაბლეტი (პლანშეტი), ხოლო III ადგილიზე გასულ კახა ცინცაძეს – მკვ პლეერი გადაეცათ საჩუქრად. **მონაწილეობდა 24 ახალგაზრდა.**

**5 ოქტომბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბში ნაჩვენები იქნა მხატვრული ფილმი "ჩემი სამყარო". ფილმის დასრულების შემდეგ მოეწყო განხილვა, რომელსაც წარუძღვა მოწვეული კინომცოდნე მარიამ მსხალაძე. **კინოჩვენებას სულ 20 ახალგაზრდა ესწრებოდა.**

**18, 20, 21 ოქტომბერს** ორთაბათუმში, აჭარისწყალსა და ახალსოფელში ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით საქველმოქმედო სპექტაკლი „გველისმჭამელი“ გაიმართა. სპექტაკლი ვაჟა ფშაველას პოემის მიხედვით იყო წარმოდგენილი, რომელშიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები **14 ახალგაზრდა მონაწილეობდა.** სპექტაკლზე შემოსული თანხა (300 ლარი) გადაირიცხა საქველმოქმედო მიზნით.

**7 ოქტომბერიდან-დეკემბრის ჩათვლით** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ხელსაქმის შემსწავლელი კურსის 24 შეხვედრა ჩატარდა. მასწავლებელი ნათია ოსეფაიშვილი. **მონაწილეთა რაოდენობა 30.**

**18 ოქტომბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ააიპ "ხელოვანთა კლუბის" ორგანიზებით ჩატარდა "წყალზე ხატვის მასტერკლასი". ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ დაუფლებოდნენ წყალზე ხატვის ტექნიკას და თავად მიიღოთ მონაწილეობა ხატვის პროცესში. **მასტერკლასს სულ 50 ახალგაზრდა ესწრებოდა**

**23 ოქტომბერს** ახალგაზრდობის ცენტრის სამოყვარულო თეატრის ღონისძიებათა ფარგლებში 2016 წლის სპექტაკლის - "გველისმჭამელის" მონაწილეები ქ. ბათუმში, ახალ სცენაზე დაესწრნენ სპექტაკლს სახელწოდებით "რამდენი დემონიც გენებოთ". **20 ახალგაზრდა.**

**28 ოქტომბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბის ფარგლებში მოეწყო ფილმის "ვილადელოფია" ჩვენება და განხილვა. განხილვას უძღვებოდა კინომცოდნე სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას სულ **24 ახალგაზრდა ესწრებოდა.**

**01 ნოემბერიდან 28 ნოემბერის ჩათვლით** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსის ფარგლებში 9 ტრენინგი ჩატარდა. მსმენელებს გადაეცათ სერტიფიკატები. ტრენინგი-მოწვეული სპეციალისტი მინდია დიდმანიძე. **მონაწილეთა რაოდენობა 11.**

**09 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბში ნაჩვენები იყო ჩარლი ჩაპლინის ფილმი სახელწოდებით "ბიჭუნა" და ასევე კინემატოგრაფიის განვითარების მოკლე მიმოხილვა. განხილვას უძღვებოდა კინომცოდნე სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას სულ **18 ახალგაზრდა დაესწრო.**

**28 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსის დასრულების შემდეგ ჩატარდა სწრაფი ბეჭდვის კონკურსი. გამარჯვებულს გადაეცა პლანშეტი. **მონაწილეთა რაოდენობა 10**

**12 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის კინო კლუბის წევრები კინოთეატრ აპოლოში იმყოფებოდნენ, **20 ახალგაზრდას,** რომლებსაც საუკეთესო დასწრება ჰქონდათ ახალგაზრდობის ცენტრში წლის მანძილზე ნაჩვენებ და განხილულ ფილმებზე, საჩუქრად გადაეცათ ფილმის "ალი და ნინოს" ბილეთები.

**16 ნოემბერი-დეკემბრის ჩათვლით** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში პროექტი "დებატების სკოლა" ამოქმედდა, სადაც გაერთიანებული იყო **18 ახალგაზრდა**. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 10 შეხვედრა. მოწვეული ტრენერის მიერ განხორციელდა როგორც თეორიული ასევე, პრაქტიკული სახის სწავლება. სკოლის ფარგლებში ჩატარდა 5 რეზოლუციაზე დებატების მოწყობა, თითოეულ შეხვედრის გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

**19-20 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ტრენინგი „სამოქალაქო აქტივიზმი ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ჩატარდა. ახალგაზრდები გაეცნენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს, მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობასა და მონაწილეობის ფორმებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ტრენინგის მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე აქტივობაში, შეასრულეს პრაქტიკული დავალებები და იმუშავეს ინიციატივებზე მუნიციპალიტეტში წარსადგენად. ახალგაზრდების გაეცნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების 2017 წლის ღონისძიებათა გეგმას და გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები. ტრენინგს უძღვებოდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის აჭარის ფილიალის დირექტორი ნათია აფხაზავა. პროექტში მონაწილეობდა 18-25 წლამდე ასაკის **20 ახალგაზრდა**, რომლებსაც გადაეცათ ტრენინგზე მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ტრენინგის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმიანობის პროცესში

**26 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: "სახელმწიფო მმართველობის ფორმები და კონსტიტუციის მნიშვნელობა". ტრენინგად მოწვეული იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ზურაბ კვიციანი. მონაწილეობა მიიღო **25 ახალგაზრდამ**.

**28 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები ხელვაჩაურის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ახალგაზრდები გაეცნენ ახალგაზრდობის ცენტრის მიზნებს, მიიღეს ინფორმაცია ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული კლუბების შესახებ, ცენტრის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ და ნახეს ვიდეო-რგოლი. შეხვედრას **35 ახალგაზრდა** ესწრებოდა, აქედან **15 გაწევრიანდა** ახალგაზრდობის ცენტრში

**29 ნოემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები ერგეს სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ახალგაზრდები გაეცნენ ახალგაზრდობის ცენტრის მიზნებს, მიიღეს ინფორმაცია ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული კლუბების შესახებ, ცენტრის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ და ნახეს ვიდეო-რგოლი. შეხვედრას **45 ახალგაზრდა** ესწრებოდა

**30 ნოემბერს** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი გიორგი გახელაძემ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარა ლექციას თემაზე: "მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა", **დამსწრეთა რაოდენობა 32**.

**1 დეკემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები ჭარნალისა და ახალსოფლის სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ახალგაზრდები გაეცნენ ახალგაზრდობის ცენტრის მიზნებს, მიიღეს ინფორმაცია ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული კლუბების შესახებ, ცენტრის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ და ნახეს ვიდეო-რგოლი. შეხვედრას **60 ახალგაზრდა** ესწრებოდა.

**2 დეკემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები სალიბაურის 1 და წინსვლის სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ახალგაზრდები გაეცნენ ახალგაზრდობის ცენტრის მიზნებს, მიიღეს ინფორმაცია ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული კლუბების შესახებ, ცენტრის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ და ნახეს ვიდეო-რგოლი. შეხვედრას **55 ახალგაზრდა** ესწრებოდა.

**4 დეკემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის "კომუნიკაციის ფსოქოლოგიაზე" ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც გაუძღვა მოწვეული ასოცირებული პროფესორი, პრაქტიკოსი ფსიქოლოგი ქალბატონი ქეთევან ბერიძე, ტრენინგზე მონაწილეობა მიიღო **32 ახალგაზრდამ**.

**05 დეკემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის დებატ-კლუბის ფარგლებში ჩატარდა დებატები თემაზე: "ეს პალატა მხარს უჭერს უმცირესობა-ს" დებატებს უძღვებოდა ტრენერი გიორგი თავბერიძე. დებატებში სულ **10 ახალგაზრდა მონაწილეობდა**.

**06 დეკემბერს** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის თანამშრომლები საინფორმაციო გაცნობითი ხასიათის ვიზიტით ჭარნალისა და ახალსოფლის საჯარო სკოლებში იმყოფებოდნენ, სადაც მოსწავლეს შეხვდნენ და ახალგაზრდობის ცენტრის დანიშნულების, საქმიანობისა და პროექტების შესახებ ესაუბრნენ. შეხვედრებს **100 ახალგაზრდა დაესწრო**, მათგან 45 მოზარდი ახალგაზრდობის ცენტრის წევრი გახდა.

**06 დეკემბერს**, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის დებატ კლუბში რეზოლუციაზე "უმცირესობათა დისკრიმინაცია დაუშვებელია" დებატები გაიმართა. პოლიტიკური ფორმატის დებატებში მონაწილეობა მიიღო **10 ახალგაზრდამ**. საუკეთესო გამომსვლელებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ.

**7, 8, 14, 15, 21, 22, 28, 29 დეკემბერს** - ჩატარდა ხელსაქმის შემსწავლელი გაკვეთილები (ორიგამი, ხელნაკეთობები, ქარგვა). სწრებადობა - **70 ახალგაზრდა**.

**10 დეკემბერს**, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა სესია თემაზე: "სწორი კვება, ცხოვრების ჯანსაღი წესი", რომელსაც წარუძღვა მოწვეული ექიმი, ენდოკრინოლოგი ქალბატონი ლია ჯაში; დღის მეორე ნაწილი დაეთმო სესიას "საგზაო უსაფრთხოების წესები", რომელიც ჩაატარა პატრულის თანამშრომელმა ნინო დუმბაძემ. შეხვედრას სულ **25 ადგილობრივი** მოზარდი და ახალგაზრდა დაესწრო.

**12 დეკემბერს** - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის დებატ კლუბის ფარგლებში რეზოლუციაზე "ვაშლი ჯობია მსხალს" დებატები გაიმართა. დებატებში მონაწილეობა მიიღო **8 ახალგაზრდამ**. საუკეთესო გამომსვლელებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ.

**13 დეკემბერს** - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში „დებატების სკოლა 2016-ის“ დასკვნითი შეხვედრა გაიმართა. ახალგაზრდებმა იმსჯელეს რეზოლუციაზე: „მარიხუანას ლეგალიზაცია.“ დებატების დასრულების შემდეგ დებატების სკოლის **10 მონაწილე** სერტიფიკატებით, ხოლო საუკეთესო გამომსვლელები ასევე წიგნებით დასაჩუქრდნენ. პროექტის ფარგლებში სულ 10 შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც უძღვებოდნენ ტრენერები ილონა დიასამიძე და გიორგი თავბერიძე.

**17 – 18 დეკემბერს** ჩატარდა "საინფორმაციო ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობლებისათვის", მონაწილეობა მიიღო **17 მშობელმა**. თბილისიდან მოწვეულნი იყვნენ სოციალური მუშაკი და სპეც. მასწავლებელი ნათია მაჭარაშვილი და ლია ტაბატაძე. დაიგეგმა მშობელთა გაერთიანების კლუბის შექმნა და გააქტიურება, ბავშვთა და ახალგაზრდების უფლებების დაცვისა და ადვოკატირების ღონისძიებები.

**23 დეკემბერს** - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში „ნაადრევი ქორწინების“ თემაზე სემინარი ჩატარდა. განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა: ადრეული ქორწინების მანკიერი მხარეები, საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმები, რომელიც კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინებას, ოჯახის შექმნის აუცილებელი წინაპირობების-ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური მოწიფულობის აუცილებლობა, მოზარდებში მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებები. ტრენინგს არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის“ ხელმძღვანელი ნინო გაბუნია უძღვებოდა. სემინარს 12-18 წლამდე ასაკის **30-მდე მოზარდი ესწრებოდა**, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგის მიმდინარეობაში

**27 დეკემბერს** ჩატარდა ხელვაჩაურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების (ახალგაზრდობის ცენტრის) დაარსებიდან 4 წლის შესრულების ანგარიშის წარდგენა. მოეწყო 2016

წელს ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო გამოფენა და ნაჩვენები იქნა ახალი ვიდეო სიუჟეტი. დაესწრო 70 ახალგაზრდა.

## ღია სივრცე საზოგადოებისათვის „ქალთა ოთახი“

2016 წლის ივნისში მუნიციპალიტეტის გამგეობასა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა ახალი ღია სივრცე „ქალთა ოთახი“. ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით სხვადასხვა მომსახურების მისაღებად იმყოფებოდა 570 ვიზიტორი და ჩატარდა 48 შეხვედრა.

-----

- გაცემული იქნა პასუხი მოქალაქეებსა და ორგანიზაციებზე;
- მომზადებული იქნა შესაბამისი ნორმატიული აქტები სპორტში დაფინანსების შესახებ;
- სამსახურის თანამშრომლების მიერ თვეში ერთჯერ ხორციელდება ააიპ-ის საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და მონიტორინგი.
- მოეწყო შეხვედრები მაჭახელას და მირვეთის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის;
- სატენდეროდ მომზადდა და მიწოდებული იქნა შესაბამისი სამსახურისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები.
- გაიცა სტუდენტური პროგრამით გათვალისწინებული ორივე სემესტრის თანხები.
- ყოველთვიურად ხორციელდება აჭარის მთავრობის აპარატისათვის პროგრამული შესრულების ანგარიშის მიწოდება.